

**„ქართველი და აფხაზი ახალგაზრდობის სამშვიდობო განათლება  
ნდობის აღდგენისთვის“  
(24 ნოემბერი, 2015)**

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრომ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ, ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატმა 2015 წლის 24 ნოემბერს, სამშვიდობო ინიციატივათა პროგრამის ფარგლებში (ქვეპროგრამა ქართველი და აფხაზი ახალგაზრდობის სამშვიდობო განათლება ნდობის აღდგენისთვის), განახორციელა ღონისძიება **„საქართველოს ახალგაზრდული ფორუმი 2015“**.

ფორუმის მიზანი იყო - ახალგაზრდობის ჩართულობის გაძლიერება საქართველოში, მათი შესაძლებლობების გამრავალფეროვნება, დევნილი ახალგაზრდების სოციალური ინტეგრაციის გაზრდა, სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა და ადგილებზე გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან საჭიროებებზე ორიენტირებული თანამშრომლობა. ახალგაზრდების მონაწილეობა დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის პროცესში. ასევე, ახალგაზრდებში ისეთი უნარ-ჩვევების განვითარება, როგორცაა, ადგილობრივი პრობლემების კვლევა, პრობლემის გადაჭრის გზების ძიება, რეკომენდაციების შემუშავება, საკუთარი აზრის გამოხატვა, არგუმენტაცია.

ფორუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო წინასწარი კრიტერიუმებით შერჩეულმა 100 ახალგაზრდამ საქართველოს მასშტაბით. მათ შორის დევნილმა ახალგაზრდებმა, ასევე, ეთნიკურმა აფხაზებმა და ოსებმა. ფორუმის მუშაობაში ჩართულნი იყვნენ შეზღუდული შესაძლებლობების ახალგაზრდებიც.

ფორუმის ფარგლებში თემატურმა ჯგუფებმა შეიმუშავეს საპროექტო კონცეფციები, რომლებიც წარედგინა გადაწყვეტილების მიმღებ პირებსა და დონორებს.

**ფორუმის ფარგლებში მუშაობდა შემდეგი თემატური ჯგუფები**

- ახალგაზრდებს შორის მოქალაქეობის განვითარების ხელშეწყობა
- ახალგაზრდების ჩართულობა საერთაშორისო პროგრამებში
- ადგილობრივ თემში დევნილთა ინტეგრაციის ხელშეწყობა
- ადამიანის უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობები
- ახალგაზრდებში მოხალისეობრივი კულტურის განვითარება
- ახალგაზრდების მედიასთან თანამშრომლობა, საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარების მიზნით
- ახალგაზრდები კანონის უზენაესობისათვის

- ახალგაზრდები კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციისათვის
- რა გვაშორებს, რა გვაერთიანებს
- ახალგაზრდები სამშვიდობო პროცესებში

ფორუმის შემადგენელი ნაწილი იყო პრეზენტაციები, რომლითაც ქართველი და აფხაზი წარმატებული ახალგაზრდები წარსდგნენ ფლორენციაში (იტალია) საერთაშორისო პროექტის „კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული და ევროპული ასპექტები“ ფარგლებში.

### **პრეზენტაციის თემატიკა:**

1. „გაზიარებული ისტორია და მისი გავლენა რეგიონის აწმყოსა და მომავალზე“
2. „დემოკრატიული ტრანსფორმაცია და სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში“
3. „სოციალური მედიის და ახალგაზრდების როლი კონფლიქტის დარეგულირებაში“
4. „საქართველოს ისტორიული და პოლიტიკური იმიჯი ევროპულ კონტექსტში“

### **საქართველოს ახალგაზრდული ფორუმის პარტნიორები:**

1. საქართველოს საპატრიარქო
2. საქართველოს პარლამენტი
3. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
4. საქართველოს განათლებისა და კულტურის სამინისტრო
5. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო
6. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
7. აფხაზეთის უმაღლესი საბჭო
8. აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი
9. აფხაზეთის განათლების და კულტურის სამინისტრო
10. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
11. ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში
12. იმერეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, აჭარის, კახეთის მხარის წარმომადგენლობები
13. საქართველოს ომბუდსმენის აპარატი
14. ცხუმ/ აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია
15. არასამთავრობო ორგანიზაციები

## ახალგაზრდულ ფორუმში მონაწილეთა შერჩევის კრიტერიუმები

- სამოქალაქო აქტივობებში ჩართულობა
- მოხალისეობის გამოცდილება
- გუნდური მუშაობის უნარი
- პროექტების წერის გამოცდილება
- ანალიტიკური აზროვნების უნარი
- დეტალებზე და შედეგებზე ორიენტირების უნარი
- კომუნიკაბელურობა
- ოპერატიულობა